ახალსოფლის საჯარო სკოლის დირექტორს
ტარიელ მიქელაძეს
მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელი
ელ-ფოსტა: axalsoflis.skola@gmail.com

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა
და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე**

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

2023 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით (N15031/23) მომართა ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეების წარმომადგენლმა, ნ.ი.-მ, რომლის განმარტებით, წლებია სკოლაში მოქმედებს უნიფორმა, რომელიც შედგება ქვედაბოლოსა და თეთრი ზედატანისგან. განმცხადებლის მითითებით, სკოლის მოსწავლეები ითხოვენ, სკოლის უნიფორმას დაემატოს შარვალიც და გოგოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გადაწყვიტონ, შარვალს ატარებენ თუ კაბას. ამასთან, გასათვალისწინებელია ზამთრის ცივი კლიმატური პირობებიც, რაც დისკომფორტს უქმნის მოსწავლეებს[1]. განმცხადებლის განმარტებით, სკოლის პრაქტიკა უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მოსწავლეებს, რის გამოც ითხოვს, სახალხო დამცველმა სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინოს.

სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის პასუხის თანახმად[2], სკოლის უნიფორმა მოსწავლეების ესთეტიკური თვალსაზრისით გამორჩეულობის მიზნით და მშობლების თანხმობით შემოიღეს. **<u>მკაცრი მითითება, რომ უნიფორმა ქვედაბოლოსა და თეთრი ზედატანისაგან უნდა შედგებოდეს, ოფიციალურად გაცემული არ ყოფილა.</u>** სკოლის დირექტორის განმარტებით, მან შეცვალა უნიფორმა და გაითვალისწინა სეზონური პირობები. შესაბამისად, ზამთარში მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, თავიანთი შეხედულებით გადაეწყვიტათ შარვლის ტარების საკითხი[3].

განმცხადებელი არ ეთანხმება სკოლის დირექტორის პოზიციას და მიუთითებს, რომ სკოლის მოსწავლეებმა, არაერთხელ სცადეს დირექციასთან მოლაპარაკება, თუმცა, პასუხად მიიღეს, რომ აღნიშნული საკითხი განხილვას არ ექვემდებარება. ხოლო, შარვლის ტარებასთან დაკავშირებით სკოლის დირექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არის დროებითი და მხოლოდ

[1] **განცხადებები: N15031/23; N1490/24.**

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 თებერვლის N 13-2/335 წერილი.

[3] სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის 2024 წლის 24 იანვრის წერილი MES 2 24 0000075063.

თებერვლამდე პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, იგი არის მანიპულაცია პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად[4].

2. სახალხო დამცველის სამართლებრივი შეფასება და საკითხთან დაკავშირებული სტანდარტები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღდეგ ბრძოლის საკითხებზე.**

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით.

2.1. სახალხო დამცველის შეფასება

საქმეში წარმოდგენილი მასალა მიუთითებს, რომ სკოლის მიერ მოწოდებული პოზიციები არის ურთიერთსაწინააღმდეგო - ერთი მხრივ, სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებისთვის მკაცრი მითითება არ ჰქონიათ, ქვედაბოლოსა და თეთრი ზედატანის ტარების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ სკოლის დირექტორის მითითებით, მოსწავლეებს, ***მხოლოდ ზამთრის პერიოდში*** მიეცათ შარვლის ტარების უფლება. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რამდენადაც სკოლის დირექტორი თავად ადასტურებს, რომ გოგოებს შარვლის ტარების უფლება **მხოლოდ ზამთარში აქვთ,** სახალხო დამცველი დადგენილად მიიჩნევს, რომ გოგოებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ. გასათვალისწინებელია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა არგუმენტი, რომელიც გოგოებისთვის შარვლის ტარების აკრძალვის გონივრულ გამართლებას წარმოადგენს. იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერ/ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და თანაზომიერი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასეთი წესები/პრაქტიკები ხელს უწყობს გოგოების/ქალების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. **გენდერული სტერეოტიპი** არის განზოგადებული შეხედულება ან წინასწარი წარმოდგენა თვისებებზე, მახასიათებლებზე, ან იმ როლებზე, რომლებსაც უნდა ფლობდნენ, ან უნდა ასრულებდნენ გოგოები/ქალები და

[4] განმცხადებლის 2024 წლის 2 თებერვლის N1490/24 დამატებითი პოზიცია.

ბიჭები/კაცები. იმის მიუხედავად, მტრულად არის განწყობილი თუ არა სტერეოტიპული მიდგომები, იგი **უთანასწორობას** ნებისმიერ შემთხვევაში **აღვივებს. გენდერული სტერეოტიპები გოგოების/ქალების დისკრიმინაციის ხშირი მიზეზია და ხშირად ხდება ისეთი უფლებების ფართო სპექტრის დარღვევის ხელშემწყობი ფაქტორი, როგორიცაა განათლების უფლება, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ჯანმრთელობის უფლება, ცხოვრების ადეკვატური პირობების, ქორწინების, გენდერული ძალადობისგან თავისუფლების, სამუშაოს, გამოხატვის თავისუფლების, გადაადგილების თავისუფლების, პოლიტიკური მონაწილეობისა და წარმომადგენლობის უფლება.**

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ **მოსწავლეების უფლებაა,** ატარონ როგორც **კაბა,** ასევე **შარვალი** და აღნიშნული საკითხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სკოლის **თვითნებურ** გადაწყვეტილებაზე. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ცალსახად მიუთითებს, რომ ჩაცმულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, უნდა იცავდეს არადისკრიმინაციულობის პრინციპსა და შესაბამის კრიტერიუმებს და **დაუშვებელია** სკოლამ თვითნებურად განსაზღვროს განსხვავებული ჩაცმის წესები მოსწავლეებისათვის. ***დამატებით, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონი არ მოითხოვს კაბის ტარებას გოგოებისთვის და მით უფრო, გაუგებარია შარვლის ტარების სეზონურობით გამართლება, მაშინ როცა ამგვარი წესის დადგენა არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.***

სახელმწიფომ, წლებია, აღიარა ქალებისა და გოგოების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და **აიღო** რიგი **ვალდებულებები** ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ქალებისა და გოგოების დაცვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა თუ არათანასწორი მოპყრობისაგან, როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების გზით, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებითა და **თანასწორი მოპყრობის დამრღვევი პრაქტიკის ცვლილებით/აღმოფხვრით.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, *საჭიროდ* ***მიიჩნევს,*** *დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრისა და სამომავლოდ პრევენციის მიზნით, სკოლას თანასწორობის/გენდერული თანასწორობისა და სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე* ***რიგი სტანდარტები განუმარტოს:***

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს **თანასწორობის** უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას[5]. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის

[5] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 1.

შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის **თანასწორ შესაძლებლობებს,** ხოლო უთანასწოროებს - **პირიქით"[6].**

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით (როგორც უფლების შინაარსის დეტალიზების მასშტაბით, ასევე უფლების დაცვის საშუალებებით), არსებითია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი[7]. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი **უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა,** რასის, კანის ფერის, ენის, **სქესის,** ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად[8].

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით, ერთმანეთისგან გამიჯნულია **პირდაპირი** და **ირიბი** დისკრიმინაცია, თუმცა, მათი აკრძალვა თანაბრად ხდება. **„პირდაპირი დისკრიმინაცია** არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე **ნიშნის** გამო **არახელსაყრელ მდგომარეობაში** აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით[9].

დასახელებული მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს **ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,** არ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი,** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და იგი **დასახული მიზნის არათანაზომიერია.**

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას **არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,** ე.ი. **არ ისახავს კანონიერ მიზანს** და არ არსებობს **პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის[10].**

---

[6] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 2.

[7] იხ. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ".

[8] იხ. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", მუხლი 1.

[9] იხ. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", მუხლი 2, პუნქტი 2.

[10] იხ. ECtHR, Eweida and others v. United Kingdom, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, no: 13378/05, 29/04/2008, § 60.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი **იმპერატიულად** განსაზღვრავს, რომ ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, **სქესის**, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. **ასევე, ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის და სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად[11].**

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი, რომლითაც დარეგულირდა საკითხები ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიების შესახებ, ასევე, განისაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები და პირობები[12]. კანონის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში **დისკრიმინაციის დაუშვებლობის** უზრუნველყოფა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა.

კანონის მიზნებიდან გამომდინარე, გენდერი განმარტებულია, როგორც სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე, ხოლო გენდერული თანასწორობა ნიშნავს ადამიანის უფლებათა ნაწილს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში[13].

ხაზგასასმელია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილია, რისი უზრუნველყოფისთვის საქართველოს სახელმწიფოს რიგი ვალდებულებები აქვს აღებული. მე-5 მიზნის (გენდერული თანასწორობა) მთავარი ამოცანაა ქალებსა და გოგოებს ჰქონდეთ ისეთივე შესაძლებლობები როგორიც მამაკაცებსა და ბიჭებს. დასრულდეს ქალებისა და გოგოების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა და დისკრიმინაცია. **აღმოიფხვრას მავნე პრაქტიკები და ტრადიციები, რომლებიც ხელს უშლის გოგოების განვითარებას.** გაეროს თანახმად, „გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ აუცილებელი საფუძველია მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოსთვის.“ ქალებისა და გოგოებისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური

---

[11] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11.

[12] იხ. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ.

[13] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 1, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების სრულყოფას[14].

დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის ჩაცმულობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე მითითება გვხვდება, ეროვნულ კანონმდებლობაში. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის თანახმად, მოსწავლე სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას უფლება აქვს დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ **არ შეზღუდოს** მოსწავლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს **უფლება** აქვს **დასაბუთებული უარი** თქვას სასკოლო ფორმის ტარებაზე; სასკოლო ფორმის დაწესებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი ფორმით.[15] **ასევე, მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე.[16]** აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების **არადისკრიმინაციული** და **ნეიტრალური** შეზღუდვის წესები კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად. საგულისხმოა, რომ კანონი ცალსახად განმარტავს, რომ **ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად,** გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ ვერ დაასახელა ლეგიტიმური მიზანი გოგოებისა და ბიჭი მოსწავლეების განსხვავებული ჩაცმის სტილთან დაკავშირებით.

სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის ჩაცმულობასთან დაკავშირებული შეზღუდვები შემოიღოს, თუმცა, **ასეთი შეზღუდვები შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან.** ასევე, ჩაცმულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები სკოლამ უნდა გაითვალისწინოს სკოლის შინაგანაწესში[17] და **მხოლოდ** ასეთ შემთხვევაში **მოსთხოვოს** მოსწავლეს მათი შესრულება. თავის მხრივ, სკოლის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის; ამისათვის, სკოლის მიერ აღნიშნული წესი უნდა განთავსდეს

---

[14] Sustainable Development Goals, Goal 5 GENDER EQUALITY.

[15] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

[16] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

[17] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ქცევის კოდექსის“ შესაბამისად, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შინაგანაწესი. სკოლის დირექტორი შემუშავებულ წესს ათანხმებს სკოლის სამეურვეო საბჭოსა და სკოლაში მოქმედ მოსწავლეთა თვითმართველობასთან, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ და გასცემენ რეკომენდაციას შინაგანაწესის შესახებ.

ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ასევე კლასის დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

ამდენად, სახალხო დამცველი **მოუწოდებს** სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო **სკოლას,** თავისი საქმიანობა **შეუსაბამოს** საქართველოს კონსტიტუციას, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ზემოთ განხილულ სტანდარტებს. ასევე, **აღმოფხვრას** ისეთი მიდგომები, რაც ხელს უწყობს გოგოების მიმართ მავნე სტერეოტიპული პრაქტიკის განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველი **მიმართავს** სკოლის დირექტორს:

- არ დაუშვას სქესის ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა;
- სკოლის უნიფორმასთან მიმართებით უზრუნველყოს მოსწავლეების არჩევანის თავისუფლება; და
- გაატაროს თანასწორობის პოლიტიკა სკოლაში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,